საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამინისტრო
საჯარო სამართლის
იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების
სააგენტო

ს/კ **202178927**

MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

Legal Entity of Public Law

SOCIAL SERVICE AGENCY

KA030442317468317

საქართველო, თბილისი 0119; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 510 047; 510 048; 510 049

144 Ak.Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 510 047; 510 048; 510 049

№ 04/30264 **15** / მაისი / **2017 წ.**

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს
ქალბატონ თამარ ქალდანს

(თბილისი, 0105, ნ.ვანაძის N7)

ქალბატონო თამარ,

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სახელზე პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის იურიდიული დეპარტამენტის 2017 წლის 3 აპრილის N PDP 0 17 00001247 წერილში, რომელიც ეხება სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიისათვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შესახებ ინფორმაციის გადაცემას, აღნიშნულია, რომ ინფორმაციის მოთხოვნის ურთიერთობები მოიაზრება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის ფარგლებში -მონაცემები მუშავდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის, ჯანმრთელობის დაცვის ან დაწესებულების (მუშაკის) მიერ ფიზიკური პირის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, აგრეთვე თუ ეს აუცილებელია ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მართვისათვის ან ფუნქციონირებისათვის.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი კრძალავს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავებას. ამავე მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს, რომ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება შესაძლებელია მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობით ან ამავე პუნქტში მითითებული საფუძვლების არსებობისას. ხოლო მე-3 პუნქტი აზუსტებს, რომ ამ მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე მონაცემთა დამუშავების შემთხვევაშიც, დაუშვებელია მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე მონაცემთა გასაჯაროება და მესამე პირისათვის გამჟღავნება.

კანონის მე-2 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, „მონაცემთა მიმღებია“ კერძო ან საჯარო დაწესებულება, ფიზიკური ან იურიდიული პირი, კერძო ან საჯარო სექტორის თანამშრომელი, რომელსაც გადაეცა მონაცემები, გარდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისა (ყურადსაღებია, რომ ბოლო წინადადებაში არ არის მოხსენიებული „და მესამე პირისა“). „მ“ ქვეპუნქტის თანახმად, მესამე პირია ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, საჯარო დაწესებულება, გარდა მონაცემთა სუბიექტისა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისა,

მონაცემთა დამმუშავებლისა და უფლებამოსილი პირისა (ყურადსაღებია, რომ ბოლო წინადადებაში არ არის მითითებული „და მონაცემთა მიმღებისა“).

იმ შემთხვევაში, თუ თუნდაც „მესამე პირი“ განმარტებული იქნებოდა, როგორც ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, საჯარო დაწესებულება, გარდა მონაცემთა სუბიექტისა, <u>მონაცემთა მიმღებისა,</u> პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისა, მონაცემთა დამმუშავებლისა და უფლებამოსილი პირისა, მონაცემთა დამმუშავებელს, კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი საფუძვლების არსებობისას, უფლება ექნებოდა გადაეცა განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები მონაცემთა მიმღებისათვის, მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე.

ზემოაღნიშნული და სხვა მსგავსი ურთიერთობებისას, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, ამავე კანონის 27-ე მუხლის გათვალისწინებით, გთხოვთ განმარტებას შემდეგ კითხვაზე:

ამ დებულებების მოქმედი რედაქციების გათვალისწინებით, უფლებამოსილია თუ არა სააგენტო, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი საგამონაკლისო გარემოებების არსებობისას, გადასცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას განსაკუთრებული კატეგორიის ინფორმაცია, მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე, თუ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ამ შემთხვევაში, მესამე პირია და მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე, მისი განსაკუთრებული მონაცემების მიღების უფლება არ გააჩნია.

პატივისცემით,

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორი, საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილე

ზაზა სოფრომაძე